**საქართველოს კანონი** ***<u>პროექტი</u>***

**„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 32) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,მუხლი 19. მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენცია
1.კულტურის სფეროში მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:
ა) თავიანთ ტერიტორიებზე კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ფონდების ფორმირება კულტურის განვითარებისათვის;
გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სახელმწიფო კულტურული პროგრამების შესასრულებლად გამოყოფილი იმ თანხის რაოდენობის დადგენა, რომელიც ნაწილდება კულტურული პროგრამების მიხედვით, სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;
დ) მუნიციპალიტეტის კულტურის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია სამთავრობო დაწესებულებასთან შეთანხმებით;
ე) კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა;
ვ) კულტურის სფეროში მუნიციპალიტეტის ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ნაგებობების მშენებლობა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოწყობა;
ზ) არქიტექტურულ - მხატვრული კომპოზიციის განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
თ) ნაგებობებზე, შენობებსა და სახელმწიფო საკუთრების სხვა ობიექტებზე კონტროლის დაწესება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.
2. 2. საქართველოს ტერიტორიაზე არქიტექტურულ - მხატვრული კომპოზიციის განთავსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის ორგანო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით”.

**2. 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენა, აღრიცხვა, შესწავლა, რესტავრაცია და დაცვა“.

**3. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან თავიანთ საკუთრებაში მყოფი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საარქივო და სხვა ანალოგიური ფონდები, უზრუნველყონ მათი შენახვა, ფუნქციონირება და განვითარება“.

**4. 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,4. კულტურის სახელმწიფო დაფინანსების საერთო მოცულობა ცენტრალური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან რეგულარულად ზუსტდება იმ დამატებითი

დანახარჯების ასანაზღაურებლად, რაც გამოწვეულია ფასების, ტარიფებისა და ხელფასების ზრდით“.

**მუხლი 2.**
მუნიციპალიტეტის შესაბამისმა ორგანოებმა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

**მუხლი 3.**
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**